

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის კიბერუსაფრთხოების განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე

კიბერუსაფრთხოების განყოფილების ფუნქციაა: ბანკის საინფორმაციო სისტემების და მისი ინფრასტრუქტურის კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ფუნქცია-მოვალეობები:

- სამუშაოს და დავალებების ვადებში შესრულების კონტროლი და პრობლემებზე რეაგირება;
- არსებული სისუსტეების და საფრთხეების იდენტიფიცირების, ანალიზისა და შეფასების უზრუნველყოფა;
- კიბერუსაფრთხოების რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და შეფასება;
- კიბერინციდენტების პრევენციის და/ან რისკების შემცირების მიზნით შესაბამისი კონტროლების მექანიზმების დანერგვის რეკომენდაციის გაწევა;
- დანერგილი კიბერუსაფრთხოების კონტროლების ტესტირების უზრუნველყოფა;
- კიბერ ინციდენტების აღმოჩენის, რეაგირების, მიტიგაციის, ანგარიშგებისა და აღმოფხვრის პროცესების უზრუნველყოფა;
- ბანკის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის და საინფორმაციო სისტემების სისუსტეებზე სკანირების უზრუნველყოფა;
- ბანკის კიბერ ინფრასტრუქტურაში შეღწევადობაზე ტესტირების უზრუნველყოფა;
- კიბერუსაფრთხოების კუთხით ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ლოგების მონიტორინგისა და ანალიზის უზრუნველყოფა;
- შესაბამისი ტექნოლოგიური ინსტრუმენტების კვლევა, ტესტირება და საჭიროების შემთხვევაში მათი ეროვნულ ბანკში დანერგვა;
- კიბერუსაფრთხოების მიმართულებით ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა და ტესტირება.

ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება, სასურველია კომპიუტერულ მეცნიერებების, კიბერუსაფრთხოების ან ზუსტი მეცნიერებების განხრით;
- IT უსაფრთხოების სფეროში მუშაობის 4 წლიანი გამოცდილება;
- უპირატესობა მიენიჭება კიბერუსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილების მქონე კანდიდატს;
- საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკების ცოდნა: NIST, ISO27001;
- ქსელების და უსაფრთხოების კომპონენტებისა, მათ შორის ახალი თაობის ბრენდმაუერების, მარშრუტიზატორების, ქსელის პერიმეტრის შეღწევის პრევენციის და აღმოჩენის სისტემებისა და ანტივირუსის პროგრამების საფუძვლიანი ცოდნა;
- LAN/WAN/WLAN ტექნოლოგიების და მათი უსაფრთხოების საფუძვლიანი ცოდნა;
- Microsoft-ის ძირითადი სისტემების ცოდნა: Windows Server, Active Directory, DNS, Exchange Server, SQL Server; Windows PKI;

- სასურველია სისუსტეებზე სკანირების და შეღწევადობაზე ტესტირების გამოცდილება;
- ბიზნეს უწყვეტობის და მაღალმდგრადი სისტემების ცოდნა;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა;
- პროექტების მართვის და გუნდის მუშაობის კოორდინირების უნარი.

კომპეტენციები:

- ორგანიზაციული უნარ-ჩვევები;
- დაგეგმვისა და სამუშაო დროის ოპტიმალურად განაწილების უნარი;
- კვლევის უნარი;
- ძლიერი ანალიტიკური აზროვნება;
- კომუნიკაბელურობა.

თანამდებობრივი სარგო: ანაზღაურება განისაზღვრება კანდიდატის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისად.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ 2019 წლის 30 მარტამდე CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: vacancies@nbg.gov.ge და სათაურში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება: **კიბერუსაფრთხოების განყოფილების სპეციალისტი.**